პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
პარასკევი
24
სექტემბერი
№ 225
(16655)
ფასი
2 კაპ.
1976

პაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფოთელთა ვალდებულება

კისრულობენ გამოუშვან 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია

ფოთი. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა უპატაკეს საშობლოს, რომ 20 სექტემბერს გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის მიმდინარე წლის ცხრა თვის სახელმწიფო დავალება.

ქალაქის მრეწველობის მშრომელებმა იკისრეს სექტემბრის დარჩენილ დღეებში დამატებით დამზადონ ათასობით მანეთის პროდუქცია.

ახლახან ნაკისრი გაზრდილი ვალდებულება 3 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს და ძველ ვალდებულებაზე 500 ათასი მანეთით მეტია.

რეკორდი — დროულად, უდანაკარგოდ

სად რამდენი მოიკრიფა

როგორც რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ 23 სექტემბრის ცნობებიდან ჩანს, რთველი ჯერ კიდევ მასობრივად არ დაწყებულა. 21 სექტემბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 4.907 ტონა ყურძენი, 22 სექტემბერს — 4.560 ტონა, სულ მოკრეფილია 31.567 ტონა ყურძენი.

გურჯაანის რაიონში სულ მოიკრიფა 14.393 ტონა ყურძენი, გუშინ კი 2.289 ტონა. **სიღნაღის** რაიონის მევენახეებმა მოკრიფეს 3.338 ტონა ყურძენი, **წითელწყაროელებმ** — 6.081 ტონა.

ყვარლის რაიონში მოკრეფილია 4.247 ტონა ყურძენი, **თელავის** — 237, **ახმეტის** — 139, **ლაგოდეხის** — 65, **საგარეჯოს** — 78 ტონა ყურძენი.

ბოლნისელ მევენახეებს მოკრეფილი აქვთ 1.616 ტონა ყურძენი, **მარნეულელებს** — 845 ტონა, **გარდაბნელებს** — 64 ტონა, **ზესტაფონელებს** — 122 ტონა, **მაიაკოვსკელებს** — 220 ტონა, ხოლო **თერჯოლელებს** — 118 ტონა ყურძენი.

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

რუსთავი. (საკ. კორ.). საოქტომბრო შრომითს ვასტზე დაანან მეტალურგთა ქალაქის ხარეწველო საწარმოთა კოლექტივები. ბევრი მათგანი წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს.

საწარმოს კოლექტივმა ჭალდებულება იკისრა სექტემბრის გოლოდე ცხრა თვის გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას; გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.



ხურათზე: ვ. ბიკოვსკი (მარჯვნივ) და ვ. აქსიონოვი აპარატს მიწაზე დაჯდომის შემდეგ. ავტოგრაფებს აწერენ დასაშვებ (საკდესის ფოტოქრონიკა).

საკდესის ცნობა

„სოიუზ-22“ კოსმოსურმა ხომალდმა წარმატებით დაამთავრა ფრენა

1976 წლის 23 სექტემბერს დედამიწაზე დაბრუნდა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-22“, რომლის ეკიპაჟში შედიოდნენ ხომალდის მეთაური ვალერი ბიკოვსკი და ბორტინჟინერი ვლადიმერ აქსიონოვი.

„სოიუზ-22“ ხომალდის დასაშვები აპარატი მოსკოვის დროით 10 საათსა და 42 წუთზე რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში, ქალაქ ცელინოგრადის ჩრდილო-დასავლეთით 150 კილომეტრზე. კოსმონავტები ბიკოვსკი და აქსიონოვი თავს კარგად გრძნობენ.

„სოიუზ-22“ პილოტირებულმა კოსმოსურმა ხომალდმა მთლიანად შეასრულა ფრენის ამოცანები, რომელიც მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამით მოეწყო. რვადღიანი ფრენის დროს ეკიპაჟმა გადაიღო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დედამიწის ზედაპირის შერჩეული უბნების ფოტოსურათები. გადაღება მოეწყო ექვსი სპეკტრული დიაპაზონით ფოტოაპარატურის მეშვეობით, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სსრ კავშირის სპეციალისტებმა შეიმუშავეს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო საწარმოში „კარლ ცეის იენაში“ დაამზადეს. წარმატებული ერთობლივი ექსპერიმენტი ხელს შეუწყობს კოსმოსიდან სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-გეოგრაფიული მახასიათებლების შესწავლის მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდებისა და საშუალებების შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას.

ფრენის განმავლობაში კოსმონავტებმა ვ. თ. ბიკოვსკიმ და ვ. ვ. აქსიონოვმა შეასრულეს დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის ფიზიკურ მახასიათებელთა კვლევის მთელი რიგი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები და ცოცხალ ორგანიზმებზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შემდგომი შესწავლის სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები.

„სოიუზ-22“ ხომალდის სისტემები და აპარატურა ფრენის ყველა ეტაპზე ნორმალურად მუშაობდა.

ხომალდის ფრენას საიმედოდ უზრუნველყოფდა დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსი, რომელშიც შედის ფრენის მართვის ცენტრი, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემები. ფრენის დროს მიღებულ მონაცემებს ამუშავებენ და სწავლობენ.

პური და ვარსკვლავები

კარგ ტრადიციად იქცა — კოსმონავტებს ვარსკვლავური რეისის შემდეგ დედამიწაზე დაშვებისას ყამირის პურს შეგებებენ ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც — 23 სექტემბერს. დიდი ხნით ადრე, სანამ დასაშვები აპარატის თავზე უზარმაზარი პარაშუტის ნაირფერი გუმბათი გაიშლებოდა, საბჭოთა მეურნეობა „ურიუპინსკის“ ტერიტორიაზე ერთ-ერთი საძიებო რაზმის „შტაბმა“ დაიდო ბინა. დამხვდურთა შორის იყო ავიაციის გენერალ-მაიორი ა. ვ. ლეონოვი.

— მანქანებში ჩასხედით! — გაისმის ბრძანება.

ტყისპირიდან, სადაც ჩვენი ვერტმფრენები დაჯდა, გავრბივართ ხომალდისაკენ. გავრბივართ და ფიზიკურად ვგრძნობთ რბილ მიწას, რომელმაც მეათე ხუთწლედის პიონერული ყამირული მოსავლის მარცვალი ალმოაცენა.

დაჯდომის შემდეგ კოსმონავტებიც მაშინვე ჰეროპორტში გამოეშურნენ. პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ე. კოუჩინამ გულთბილად მიეულოცა ვალერი ბიკოვსკის და ვლადიმერ აქსიონოვს კოსმოსური პროგრამის წარმატებით შესრულება და ყამირის მიწაზე რბილად დაჯდომა. მან თქვა, რომ ყამირელები ამ დღეებში დაამთავრებენ ლეწვას და სახელმწიფოს ყაზაური მილიარდის ანგარიშში 126 მილიონ ფუთ პურს ჩაბარებენ. მიტინგზე ვამოვიდა ამანგელდის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორ ნატალია გელერტი. მან მადლობა გადაიხადა გულთბილი დეპეშისათვის, რომელიც ხომალდ „სოიუზ-22“-დან გამოუგზავნეს კოსმონავტებმა, და კოსმოსის გმირებს აღუთქვა, რომ ყველაფერ ეცდება რეკორდების დამყარებას პურის თესვა-მოყვანაში.

იშიმბაევი ველის ყამირელებმა კოსმონავტებს ახალი მოსავლის პური მიართვეს და ისინი ცელინოგრადის საპატიო მოქალაქეებად მიიღეს. ვალერი ბიკოვსკი და ვლადიმერ აქსიონოვი დაჯილდოვეს „ყამირი მიწების ზეიმისადისათვის“.

მიტინგი დამთავრდა. თვითმფრინავი კოსმონავტებითურთ, რომლებმაც დღეს კოსმოსური ყველაფერ-ძიების კიდევ ერთი თავი დასრულეს, ბაიკონურის კოსმოდროომისაკენ გაეშურა. (საკდესის სპეც. კორ).

ცელინოგრადი.

ხომალდ „სოიუზ-22“-ის დაჯდომის რეპორტაჟი

□

დიდი ნავთოგის გზა მოკლდება

საქართველოს ნავთოგის ხვალინდელი დღე

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობში“ ნავთობის სადღეღამისო მოპოვებამ 3.200 ტონას მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ ნავთობის მოპოვების წლიური მოცულობა საქართველოში შეადგენს 1.160 ათას ტონას გეგმით გათვალისწინებული 850 ათასი ტონის ნაცვლად. შედარებისათვის: მეცხრე ხუთწლედის დამდეგს რესპუბლიკის მენავთობენი ყოველ დღე-ღამეში იძლეოდნენ მხოლოდ 55 ტონა პროდუქციას. დღეს კი „საქნავთობმა“ ნავთობის საერთო მოპოვებით უკვე გაუსწრო ისეთ გაერთიანებებს, როგორიცაა „ყირგიზნავთობი“ და „ტაჯიკნავთობი“, ხოლო საშუალო-სადღეღამისო მოპოვებით „უზბეკნავთობსა“ და „დაღნავთობს“.

ტიუმენის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მთავარი საწარმოო სამმართველოს, დონეცკის ქვანახშირის საწარმოო გაერთიანების, მოსენერგოს რაიონული ენერგეტიკული სამმართველოს მუშებისადმი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილის პასუხად ქართველმა მენავთობეებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. მათ, კერძოდ, გადაწყვიტეს მიმდინარე წლის დამლევამდე ნავთობის სადღეღამისო მოპოვება გაზარდონ 4 ათას ტონამდე, ერთიანად ამამაღლონ წარმოებისა და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ეფექტიანობა.

გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალურმა დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა **რ. თევზაძემ** საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ აღმოვაჩინეთ ორი მაღალპროდუქტიული საბადო — სამგორ-პატარძეული თბილისახლო რაიონში და შრომის უბანწყალწმინდის (სუფსა) საბადო კოლხეთის დაბლობზე. დადგინდა თელეთის, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა უბნების სამრეწველო ნავთობიანობა.

„დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს მომავალში საქართველო განდება ახალი, და შესაძლოა, ნავთობის დიდი რაიონი“, — თქვა ბაქოში გასული წლის აგვისტოში ნავთობის ქვეშის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა ვ. დ. შაშინმა.

ეს ვარაუდი დასტურდება. ყოველდღიურად საქართველოში სულ უფრო მეტ ნავთობს ვიღებთ. მიმდინარე წლის გეგმა თითქმის სამჯერ აღემატება შარშანდელს, 1977 წელს იგი ათჯერ გადააჭარბებს დონეს, რომელსაც უნდა მიეაღწიოთ 1976 წელს, მეათე ხუთწლედის დამლევამდე კი იგი გაიზრდება რამდენიმე მილიონ ტონამდე. შუშაობის ტემპი შესაძლებლობას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ ეს დავალებანი შესრულდება.

სამგორის ველზე უკვე გაიბურღა და მოქმედებს 11 ჭაბურღილი. წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული კიდევ ხუთი ჭაბურღილი. აქედან ავტომატიზებული ხაზები, რომლებმაც ნავთობის სარეწები დაუკავშირეს ბაქო-ბათუმის მაგისტრალურ ნავთობსადენს.

ქართველ მენავთობეებს დიდ დახმარებას უწევენ „გროზნავთობისა“ და „კრასნოდარნავთობგაზის“ გაერთიანებათა კოლექტივები. მაგალითად, გროზნელთა ექვსი ბრიგადა ყოველდღე მუშაობს სამგორის საბადოზე, ხოლო ოთხი ბრიგადა — დასავლეთ საქართველოს საბადოებზე.

დიდმწარმოებლურად შრომობენ სახელგანქმული კოლექტივები, რომლებსაც მეთაურობენ უფროსი ბურღვის ოსტატები ა. მუხიაშვილი, ბ. ჭითშვილი, გ. საღოიანი, მ. ბერიაშვილი და სხვები.

ნავთობის მოპოვების ზრდას ხელს უწყობს ახალი ტექნიკის დანერგვა. (საქინფორმი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პოლკოვნიკ ო. კ. ლესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამხედრო პატრიოტული მუშაობისათვის, დაბადების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, ბაქოს 26 კომისრის სახელობის თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის დივიზიონის მეთაური, პოლკოვნიკი ოთარ კონსტანტინეს-ძე ლესელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1976 წლის 23 სექტემბერი.

პირუტყვის საქონლის დამზადებაში ჩამორჩენაა

ჩვენი მიმოხილვა

საზოგადოებრივი პირუტყვისათვის საკვების დაგროვების საუკეთესო დღეები თანდათანობით ხელიდან გვეცლება. ამიტომ ახლა ყოველი დღე და საათიც კი საშურია. ამოცანა ის არის, რომ ყოველგვარი საკვების დამზადების გეგმა-ვალდებულება შესრულდეს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 სექტემბრის ცნობები. ჩვენ აქ არ შეეხებით საკვების დამზადებაში მოწინავე რაიონებს. მაგრამ ბევრი რამ გვაქვს სათქმელი იმ რაიონებზე, რომლებიც ამ საქმეში ჩამორჩნენ.

გასაკვირია ბოგდანოვკის რაიონის საკვებმომპოვებლების პოზიცია. ნუთუ მათ არ აღელვებთ, რომ უხეში საკვების დამზადების გეგმა-ვალდებულება შესრულებულია მხოლოდ 66 პროცენტით, მათ შორის თივისა — 57 პროცენტით, სენაჟისა — 94 პროცენტით? ამ მთიან რაიონში მალე აცივდება და, ცხადია, ბალახების ზრდა-განვითარებას არ უნდა ველოდეთ.

ეკვრად უკეთესი მდგომარეობა არც ახალქალაქის რაიონშია, სადაც უხეში საკვების დამზადების დავალება შესრულებულია 79 პროცენტით, აქედან თივისა — 75 პროცენტით. ბორჯომის რაიონში უხეში საკვების დამზადების დავალება შესრულებული აქვთ 76 პროცენტით, მათ შორის თივისა — 61 პროცენტით.

წალკის რაიონის მეცხოველეები, ალბათ, ზამთრის დადგომას არ მოელიან!.. აქ უხეში საკვების დამზადების მაჩვენებელი 62 პროცენტს შეადგენს, აქედან თივისა — 56 პროცენტს. სენაჟის ჩადების გეგმაც არ არის შესრულებული.

უხეში საკვების, და კერძოდ, თივის დამზადებაში ჩამორჩენის თავი ვერ დაიღწიეს დუშეთის, ყაზბეგის, სამტრედიის, ორჯონიკიძის, ამბროლაურის, ცაგერის, მესტიის რაიონებმა. თივის დამზადებაში დიდი ჩამორჩენაა აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, ზალესკოხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში და საშრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

20 სექტემბრის მდგომარეობით რესპუბლიკაში უხეში საკვების დამზადების დავალება შესრულებული იყო 79 პროცენტით, აქედან თივისა — 76 პროცენტით. შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს წვნიანი საკვების—სილოსის დამზადება. (რესპუბლიკაში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 24 პროცენტით). რაიონების დიდ უმრავლესობას დავალება შესრულებული აქვს მხოლოდ 10-30 პროცენტით. სილოსის დამზადების გეგმის შესრულებას საფრთხე მოელს.

საქართველოს სოფლის სამეურნეო ორგანიზაციებმა გადამჭრელ ღონისძიებებს მიმართონ აღნიშნული ჩამორჩენის დასაძლევად.

საბჭოთა კავშირის მარშალი

ი. ქ. ბაგრამიანი საქართველოში

საქართველოში იყო გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავარი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი.

თბილისის რკინიგზის სადგურში ი. ქ. ბაგრამიანს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ვ. ბედნენიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე მ. ი. გოგლევი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გადამდგარი გენერალ ლეიტენანტი საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ნ. ჯანჯღავა და სხვები. თბილისელმა მოსწავლეებმა ძვირფას სტუმარს თაიგულები და საქართველოს საპატიო პიონერის წითელი ყელსახვევი მიართვეს.

რესპუბლიკაში ყოფნის დროს მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი დიდი ინტერესით გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ქალაქისა, რომელთანაც დაკავშირებულია მისი ბიოგრაფიის მრავალი ფურცელი. ივანე ბაგრამიანი, რომელიც აღტაცებული იყო ძველი ქალაქის უდიდესი ცელილებებით, მისი ახალი არქიტექტურული ანსამბლებით, მტკვრის გრანიტის სანაპიროთი, მეტროპოლიტენის სადგურებით, იგონებდა, თუ როგორ ჩამოვიდა თხუთმეტი წლის ბიჭუნა მამასთან ერთად ელიზავეტოპოლიდან, ახლანდელი კიროვაბადიდან, საქართველოს დედაქალაქში, რათა რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში შესულიყო.

შესასვლელი გამოცდების ჩაბარების შემდეგ იგი უძველესი სასწავლებლის მოსწავლე გახდა.

— საქართველოს დედაქალაქი, რომელიც ცნობილია თავისი ინტერნაციონალური ტრადიციებით, — თქვა მარშალმა, — ჩემი მშობლიური ქალაქი გახდა. აქ ცხოვრობენ ჩემი ახლობლები, ბევრი ამხანაგი, მეგობარი, თანაპოლელები. მათთან მაკავშირებს ომის ქარ-ცეცხლიანი წლებიც და საბჭოთა არმიაში ერთად სამსახურიც.

და აი ახლა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ივახე ბაგრამიანი კვლავ აღმოჩნდა მისთვის მშობლიურ სასწავლებელში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მანქანათსაშენებელ ტექნიკუმად გადაკეთდა. სასწავლო აღმზრდელობითს მუშაობაში დიდი მიღწევებისათვის ეს ტექნიკუმი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა.

ტექნიკუმის სპპაკონი სტუმრების წიგნში ი. ქ. ბაგრამიანმა ჩაწერა: „მეტად გულთბილად და სიხარულით ვიგონებ ჩემს მოსწავლე ამხანაგებს. ჩვენ ყოველთვის მეგობრულად ვცხოვრობდით და ვსწავლობდით, ერთმანეთს ვეხმარებოდით, საინტერესოდ ვატარებდით თავისუფალ დროს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მე ამიერკავკასიის რკინიგზის ლინდგაგის სამსახურის მე-9 უბნის ტექნიკოს-პრაქტიკანტი გავხდი.

მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი იყო გამარჯვების პარკში და ყვავილებით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

შემდეგ მან იმოგზაურა გორში, სადაც დათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, გულთბილი შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ამ ქალაქის მცხოვრებლებთან, ეწვია საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას, დათვალიერა სვეტიცხოველი და ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების სხვა ისტორიული ძეგლები.

რესპუბლიკაში ყოფნის დროს მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი. მიღებაზე იყვნენ: პ. გ. გილაშვილი, თ. ნ მენთეშაშვილი, ე. კ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრომპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ვ. ბედნენიშვილი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნ. ჯანჯღავა, გენერალ-მაიორი მ. ი. გოგლევი.

22 სექტემბერს თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეხვედრა მოეწყო სახელგანქმულ მარშალს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ომის ვეტერანები, მხედართმთავრის თანაპოლელები, თბილისის საწარმოთა მოწინავე წარმომვლის მუშაკები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახალგაზრდობა, პიონერები და მოსწავლეები.

საღამო გახსნა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ამ კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარემ ვ. ჯანჯღავამ.

სტუმრის გულთბილად მიესალმნენ ჟურნალ „ლიტერატურნაია ვრუზნის“ რედაქტორი **გ. ცეცეშვილი,** საქართველოს ალკა საქარხნო რაიკომის მდივანი **ნ. თავართქილაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი **მ. კვეზერელიკოპაძე** და სხვები.

საქართველოს მშრომელებმა, ყველა საბჭოთა ადამიანმა, თქვეს გამოსულებმა, კარგად იციან გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გმირის ი. ქ. ბაგრამიანის საბრძოლო გზა. მისი შინაარსიანი წიგნი „ასე იწყებოდა ომი“, რომელიც საბჭადრო მემუარების სერიით გამოვიდა, დიდი პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკაში. წიგნში ასახულია ავტორის პიროვნება: მისი პატრიოტიზმი, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება, ზრუნვა მებრძოლი მეგობრებისათვის, ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის.

საღამოზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. ქ. ბაგრამიანი,** რომელსაც გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი. ივანე ქრისტეფორეს-ძემ თქვა, რომ განაგრძობს მუშაობას თავის მოგონებებზე და სწორედ ამ მიზნით იმოგზაურა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, რომლებთანაც დაკავშირებულია მისი სიჭაბუკის წლები.

საზეიმო საღამოს დასასრულს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა თბილისელი კოლექტივი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი „ცისარტყელა“. (საქინფორმი).

ხურათზე: მარშალ ი. ქ. ბაგრამიანს გულთბილად შეხვდნენ თბილისელი პიონერები.

მ. პიკუბაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

23 სექტემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში რეალურად იგრძნობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დინამიკური ნაბიჯები.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პრობლემები, — ნათქვამია გაზეთის მოწინავეში („ტექნიკური პროგრესის მარშრუტები“) — **პარტიული კომიტეტების უურადღების ცენტრში უნდა იყოს. რამდენად ეფექტიანია ნაკეთობანი, რამდენად სწრაფად ხდება მათი ათვისება, ხშირად ხდება თუ არა მათი შეცვლა კონვეიერზე — ყოველივე ეს კომუნისტების საზრუნავია.**

სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად მუშაობის სტილის სრულყოფა პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია. დაინტერესებით გამოხმაურენ მკითხველები „პრავდაში“ დაბეჭდილ მასალებს რუბრიკით **„პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის“.**

გაზეთის კორესპონდენტი **ვ. კოუემიაკო,** მაგალითად ესაუბრა უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. მ. ციბულკოს.** ამ საუბარს — **„საგებლობის კრიტერიუმები“** მეორე გვერდზე გაეცნობით.

ტექნოლოგიურ ინსტიტუტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სახალხო მეურნეობის სისტემაში.

ამ საკითხს ეძღვნება ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის **გ. ვასილიევის** წერილი — „ინსტიტუტი: როგორია უკუგება?“ (რუბრიკა — „პრობლემები და აზრები“).

„ყველგან წერენ, თუ მშობლები ბავშვებს რაიმეს დაპირდებიან, აუცილებლად უნდა შეუსრულონო. დედაჩემი კი სხვაგვარად იქცევა. ერთხელ ხუთი მანეთი მომცა კოლგოტის საყიდლად. მაგრამ მეორე დღეს მეუბნება: „თამარ, ფული უნდა გამოგართვა, კოლგოტი სავალდებულო არ არის, შენთვის, მე კი ოჯახისთვის მჭირდება“. ფული მივეცი, მაგრამ ისე მიწყინა. რომ ავბღავლდი. მან მითხრა: „მე კი მეგონა, სინდისი გქონდა!“ — დადო ფული მაგიდაზე და წავიდა. ამ ფულს არც კი მოვკარებივარ. თუ არ შეგიძლია დაპირება შეუსრულო ადამიანს, ნურც დაპირდები. მითხარით, ვინ არის ჩვენს შორის მარშალი? თამარ ს.“ ამ კითხვაზე პასუხი გაეცემული ა **გ. მოგილევსკაიას** წერილში — **„ხელფასზე გიყიდათ“,** რომელიც მეექვსე გვერდზე გამოქვეყნებულია **„ოჯახური საბჭო“.**

ПРАВДА

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პოლკოვნიკ ო. კ. ლესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამხედრო პატრიოტული მუშაობისათვის, დაბადების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, ბაქოს 26 კომისრის სახელობის თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის დივიზიონის მეთაური, პოლკოვნიკი ოთარ კონსტანტინეს-ძე **ლესელიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1976 წლის 23 სექტემბერი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

როცა სიგნალებს ყურს არ უგდებენ

წითელწყაროს რაისაბჭოს მშენებლობაზე ნაკლოვანებებია და დარღვევები ალმოსაფხვრელად საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების არადანაკმაყოფილებლად შესრულების შესახებ იმსჯელა რეაბუნლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და სათანადო დადგენილება მიიღო.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის (მინისტრი ი. ზედგინიძე) და სასოფლო მშენებლობის (მინისტრი ი. ხარაგიშვილი) სამინისტროების ხელმძღვანელებისა და ცალკეული მუშაკების მხრივ საქმისადმი უყოფლობის, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად არ შესრულდა საგარეჯოს ორგანოების მითითებები და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1975 წლის 1 აგვისტოს დადგენილება ნოემბერ-ჭყარის რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. კერძოდ, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტში (მმართველი მ. ლაბაძე) გამოიჩინეს უპასუხისმგებლობა — 3 წლის მანძილზე არ სდმოფხვრეს რაისაავადმყოფოს შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დეფექტები და არ დაამთავრეს სამუშაოები, რომლებიც დაწყებული იყო. შენობის 8 ადგილზე გაკეთებული არ არის ფანჯრის რაფის თუნუქის საფარველი, არც ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის სამუშაოებია შესრულებული. ამასთან პარკეტის იატაკები დეფორმირებულია, ვენტილაციური დაგეგმარება პროექტის დარღვევით შესრულეს. ჰიდროიზოლაციის უხარისხობის შედეგად კედლები დანესტიანდა და ბათქაში ცვივა, წყალსადენი მილების დიამეტრი არ შეესაბამება პროექტს, სახურავზე არ არის გაკეთებული კეხი და დაუმთავრებელია სახურავისა და ლიფტის შახტის შეერთების კვანძი, კარებში ბზარებია, საწმენდ ნაგებობათა სალექარი უხარისხოდ არის გაკეთებული და ა. შ.

აღნიშნულ ნაკლოვანებებს ხელი შეუწყო იმანაც, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (მინისტრის მოადგილე შ. ლომიძე) არ მიიღო საჭირო ზომები სამშენებლო დეფექტებისა და შეუსრულებელი სამუშაოთა სწრაფი ლიკვიდაციისათვის. დღემდე შემოზიდული არ არის ვენტილატორები და კალორიფერები, მასალები სუხტდენიანი მეურნეობისათვის, 100 კილოგრამი ამწეობის ლიფტი და ა. შ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ 1976 წლის მარტში შეისწავლია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტიდან გადმოგზავნილი ექიმ ე. ჯალიაშვილის განმეორებითი საჩივრები და რაიონის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობაში ნერიოზული ნაკლოვანებები გამოავლინა, მაგრამ მან აღმოსაფხვრელად სათანადო ზომები როდი მიიღო. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა განყოფილებამ არ გააკონტროლა და არ მოსთხოვა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისათვის ზომების მიღება.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და წითელწყაროს რაისაავადმყოფოს ახალი ხელმძღვანელობა ზოგჯერ უგულებელყოფენ ექიმ ე. ჯალიაშვილის მიერ დასმულ საკითხებს, ანგარიშს არ უწევენ მათ უტყუარობას.

კომიტეტმა აღნიშნა მშენებლობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილების, აგრეთვე წითელწყაროს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის (თავმჯდომარე თ. თეთვაძე) არაოპერატიული, საქმისადმი ლიბერალური დამოკიდებულება.

კომიტეტმა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მმართველს მ. ლაბაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური და გააფრთხილა, რომ თუ არ მიიღებს საჭირო ზომებს გამოვლენილი დეფექტებისა და შეუსრულებელი სამუშაოების აღმოსაფხვრელად, იგი მკაცრ პასუხისგებაში ექნება მიცემული. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილეს ა. წურწუმიას, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს შ. ლომიძეს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსს ჯ. აბულაძეს მიეცათ შენიშვნა და გაფრთხილებულ იქნენ, რომ, თუ ისინი არ მიიღებენ საჭირო ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უფრო მკაცრი სასჯელი დაედებათ. კომიტეტმა აღნიშნა, აგრეთვე წითელწყაროს სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის რ. თეთვაძის უდიხციპლინობა, რამაც გამოიწვია საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შეუსრულებლობა. ისიც მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

სახალხო კონტროლიორები

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის სახალხო კონტროლიორები მარცხნიდან — მ. მამადაშვილი, ა. ნადირაძე, ვ. კოზლოვსკი და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე გ. დანიელოვი ამოწმებენ ჩაის საკრეფი მანქანის „ჩა-900-ის“ ხარისხს.

გ. გოგოხიას ფოტო.

ესრულების შემოწმებისათვის მუშაობაში დიდი ადგილი უკავიათ სახალხო კონტროლის ორგანოებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უკეთ უნდა გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაში.

ლ. ი. ბრეჟნევი.

რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივა ფრთებს ისხამს

ჩვენი უპირველესი საზრუნავი

კონტროლიორთა აქტივობა ხელს შეუწყობს დისციპლინის, პასუხისმგებლობის განმტკიცებას.

არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენ გვერდით, გავაჩაღოთ ბრძოლა სოციალისტური დისციპლინის განსამტკიცებლად — სანიმუშო დისციპლინა ყველგან და ყველაფერში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის ამ პატრიოტულ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი და ნაკრები სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად ერთსულოვნად დაირაზმნენ ზესტაფონის რაიონის მშრომელები.

ამ საერთო-სახალხო შრომაში რაიონის მშრომელებს გვერდში უდგანან და ერთგულად ეხმარებიან საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და „საბჭოთა მეურნეობებში შექმნილი სახალხო კონტროლიორები 189 ჯგუფსა და 285 საგუშაგოში გაერთიანებული სახალხო კონტროლიორები. ზესტაფონის რაიონში ახლა სამი ათასზე მეტი სახალხო კონტროლიორი მოღვაწეობს. ამასთან რაიონულ კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ შტაბარში განყოფილება მუშაობს.

სახალხო კონტროლიორთა ეს დიდი ძალა ცალკეულ უბნებზე არის განაწილებული. მთელი მათი საქმიანობისა და მეცადინეობის მიზანი ქმედითი დახმარება გაუწიონ პარტიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს ყველა უბანზე, ყველა რგოლში სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის დამყარებაში.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააქტიურეს მუშაობა გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სახალხო კონტროლიორებმა. საამქროებსა და განყოფილებებთან შექმნილი სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში 431 კაცია ჩაბმული, მათ მუშობას უხარიანად და საქმის ცოდნით წარმართავს მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე, ქარხნის მთავარი ინჟინერ-ტექნიკის მოადგილე პ. ნებიერიძე. მარტო წლეულს 8 თვეში მათ ასზე მეტი შემოწმება და რეიდი მოაწყვეს.

რუსთაველ მეტალურგთა მოწოდების პასუხად ქარხანაში უფრო ფართოდ გაიშალა მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, სახალხო კონტროლიორები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს დისციპლინის დარღვევის ყოველნაირ გამოვლინებას, ყოველ ფაქტს მთელი კოლექტივის მსჯელობის საგნად ხდიან. ჯგუფებმა დასაგეგმილ ეკონომიურ ეფექტზე 3 ათასი მანეთი ეკონომია მოგვცეს.

ამ ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. ეს ინიციატივა ერთ-ერთ ადგილობრივ ინიციატივად ჩამოყალიბდა. ამ ინიციატივის ავტორებად ითვლებიან ბ. ბერიძე, ბ. ბერიძე, ბ. ბერიძე,

სპეშიალის ჯილდო — გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ დროშაზე

22 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „სოვეტსკაია როსიასათვის“ შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემას. მაღალი ჯილდო გაზეთის კოლექტივს მიენიჭა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, რუსეთის სფსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვაში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროპაგანდაში დამსახურებისათვის.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ გ. ლ. სმირნოვმა.

შკრებლებმა დიდი აღფრთოვანებით აღრიცხეს სიტყვა პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეფაურობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ს. სოლოშენკინმა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ კოლექტივს მიურთვა მიესალმება და ყოველივე საუკეთესო უსურვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით.

„სოვეტსკაია როსიას“ მთავარმა რედაქტორმა ა. ი. ლუკოვენკომ მსურველ მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაზეთის კოლექტივისა და ავტორთა აქტივის შრომის მაღალი შეფასებისათვის. მან განაცხადა, რომ „სოვეტსკაია როსია“ კვლავაც იქნება პარტიის ერთგული თანაშემწე კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

მაღალი ჯილდო გაზეთის გულთბილად მიეფერეს ცენტრალური პრესისა და მშრომელთა წარმომადგენლებმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკადესი).

დისციპლინა, პასუხისმგებლობა, ფესვრიგი — ყველგან, ყველაფერში!

ვინც დამნაშავეს მფარველობს...

სამინისტროს საქმიანობის განალიზებისას, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ცალკეული ორგანოების მუშაობაში არსებული უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამინისტროს კადრებთან მუშაობას, მათს შერჩევას, განაწილებასა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის დიდი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით აღზრდას.

რესპუბლიკაში პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების დაკვიდრებამ ხელი შეუწყო იმ მუშაობას, შემთხვევითი, უღირსი, არაკომპეტენტური და წარსულში სახელგატეხილი თანამშრომლებისაგან სამინისტროს რიგების გასწმენდად რომ განხორციელდა. გაიზარდა შინაგან საქმეთა ორგანოებში ახალი კადრების — მშრომელთა კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლების ნაკადი, რომლებსაც რეკომენდაცია პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მისცეს.

ყოველივე ამის შედეგად გარკვეულწილად ამაღლდა სამინისტროებისა და მისი ორგანოების მუშაობის დონე.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ უკვე ყველაფერი გაკეთებულია. ეს მთელი სიმწვავითა და პარტიული მომთხოვნელობით ითქვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ამასწინანდელ სხდომაზე, რომელმაც განიხილა სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომლის უღირსი საქციელის საკითხი. კოლეგიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა ზოგიერთ ორგანოში ჯერ კიდევ არიან თანამშრომლები, რომლებიც კვლავ ჯიუტად ებღაუჭებიან ძველს, რაც დიდი ხანია დაგმობილია და წარსულს ჩაბარდა. მათ არ სურთ და, როგორც ჩანს, არც შეუძლიათ ახლებურად იმუშაონ თავიანთი ჩვევებისა და პოლიტიკური შეზღუდულობის გამო. ამ თანამშრომლების საქციელი, რომლებსაც დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული, არათუ არ ესმის ხალხს, არამედ კანონიერ აღშფოთებასაც იწვევს.

ახლახან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოააშკარავა პოლიტიკური სიბეცისა და უმეწინარობის ალმაშფოთებელი ფაქტი, აშკარა პროტექციონიზმისა და დამნაშავეთადმი ხელშეწყობის ფაქტი.

რესპუბლიკის საზოგადოებრიობას კარგად ახსოვს ტრაგედია, რომელიც 1974 წლის დეკემბერში თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში მოხდა და ამ საავადმყოფოს ზოგიერთი მედიცინის მუშაკის— ამ ტრაგედიის მონაწილეთა დანაშაული. სასამართლო ორგანოებმა დასაჯეს დამნაშავეები. საკადრისად მიეზღო რკინიგზის საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების ყოფილ გამგეს გ. რ. ანდრონიკაშვილსაც, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და მკაცრი რეჟიმის პირობებში სასჯელის მოხდა მიუსაჯა. სამსახურებრივი მდგომარეობას ბოროტად გამოყენებისათვის, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა. (სხვათა შორის, ეს ანდრონიკაშვილის მეორე ნასამართლობაა. 1953 წელს იგი ლენინგრადში განზრახ მკურნალობისათვის გასამართლეს).

მაგრამ პრაქტიკულად ანდრონიკაშვილს სასჯელი არ მოუხდია. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა, რომელთა სამსახურებრივი მოვალეობაა სისტრულეში მოიყვანონ განაჩენი, ყველაფერი ღონეს, რათა ანდრონიკაშვილისათვის შეექმნათ შეღავათიანი პირობები, დაბოლოს პირობით — ვადამდე გაეთავისუფლებინათ იგი პატიმრობიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა დაწესებულების გადათანამშრომელთა მოქმედების სქემა მარტივია. ამ თანამშრომლებმა სპპატიმრეთა მოთავსების ღიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ისარგებლეს რა საბჭოთა კანონების ჰუმანურობით, მსჯავრდადებულის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, საზოგადოებრივობის აზრის გაუთვალისწინებლად სასჯელის დადგენილი ვადის მოხდისაგან პირობით — ვადამდე გათავისუფლეს ანდრონიკაშვილი და სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე სამუშაოდ გაგზავნეს.

კოლეგიის მონაწილეებმა განსაკუთრებული შეშფოთება და აღშფოთება გამოიწვია ნაჩქარევმა, ელვისებურმა „ოპერაციამ“, რომელიც მოეწყო ვ. რ. ანდრონიკაშვილის შესახებ საპირო ფორმალური დოკუმენტების შეგროვებისათვის, გაფორმებისა და რეალიზაციისათვის. სახალხო მეურნეობის ობიექტზე, სადაც ანდრონიკაშვილი სასჯელს მოსახდელად და სამუშაოდ გიგზავნა, მას პრაქტიკულად, დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომელთა წაყრუების წყალობით, არცერთი დღე არ უმუშავია.

შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო ჩქარდება. ანდრონიკაშვილის თხოვნით, რომელმაც დაიწყო სრული განთავისუფლების გზის ძიება, იგი გაგზავნეს ერთ-ერთ რაიონულ საავადმყოფოში, სამი დღის შემდეგ კი თბილისის № 1 საქალაქო საავადმყოფოში. იქ მას დაუდგინეს II ჯგუფის ინვალიდობა (თუმცა წინათ წლინახევრის მანძილზე საერთოდ არ მიუმართავს ექიმებისათვის), ხოლო ხუთი დღის შემდეგ სახალხო სასამართლომ საკუთრივ გათავისუფლა ანდრონიკაშვილი და ყოველგვარი შეზღუდვა მოუხსნა.

კოლეგიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთელ ამ საქმიანობის ამბავში უწინარეს ყოვლისა, დამნაშავეები ირიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები, რომლებსაც ხელი არ აუღიათ პროტექციონიზმის მანკიერ პრაქტიკაზე და უპასუხისმგებლო საქციელი ჩადენეს.

იმისათვის, რომ მსჯავრდადებული ანდრონიკაშვილი პირობითად გათავისუფლეს ისე, რომ არ გაუთვალისწინებიათ პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, გამოიჩინეს გაუმართლებელი და დაინტერესებული სიჩქარე დოკუმენტების გაფორმებაში, პროტექცია გაუწიეს და ხელი შეუწყეს დამნაშავის თანამდებობიდან მოხსნილი და სამსახურებრივი შეუფერებლობის გამო შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილი არიან შინაგან საქმეთა ქვეგანყოფის უფროსი, მიიორი ბ. ბ. ძიგუა და მისი მოადგილე პოლიტიკურ-აღმზრდელობითის მუშაობაში პოდპოლკოვნიკი გ. ა. თვალიაშვილი. დაითხოვეს და მკაცრად დასაჯეს სხვა თანამშრომლებიც.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის აზრით, ამ საკითხზე მისი გადაწყვეტილება სანახევრო აღმოჩნდება, თუ არ გამოავლენენ ყველას, ვინც მფარველობდა დამნაშავეს, ისინი კი, როგორც სამსახურებრივი გამოძიების მასალები ცხადყოფს, არიან სასამართლოს, პროკურატურისა და მედიცინის მუშაკთა, აგრეთვე საშეურნეო ხელმძღვანელთა შორისაც.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავს ამგვარი მოქმედების განმეორებას შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში.

მოხსნილია დირექტორიც და ოსტატიც...

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა გორის ხორცკომბინატში პირუტყვის მასობრივი მიღება-გადამუშავებისათვის მზადყოფნის საკითხი. როგორ ასრულებს საწარმოს კოლექტივი ამ საკითხზე ზემდგომი ორგანოების დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს? კოლეგიაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც საწარმოს ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობის შედეგია.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, გორის ხორცკომბინატი სეზონისაფვის — კარგად ვერ მოემზადა. სრულყოფილად არ ჩატარდა სანიტარული ღონისძიებები. საწარმოს ტერიტორია ეთილმოუწყობელია, ბახის ეზოში წვიმის დროს „ტბები“ დგება, საკანალიზაციო ქსელი არ მუშაობს, პირუტყვის მოყვანის შემდეგ ავტომანქანებს არ რეცხავენ, შეუფერებ ე ლ მდგომარეობაშია ძვლის შესანახი სათავსო და სხვ.

საწარმოში სუსტია შრომითი და საწარმოო დისციპლინა. სასაკლაო საამქროში სისტემატიურად ირღვევა საწარმოო პროცესები, რაც ანტისანიტარიას იწვევს. ამასთან, ტყავის და ქონის საამქრო შეუკეთებელია, სძაბვა საამქროში სრულებით არ მუშაობს ვენტილაცია, მაცივარში № 9 საკანი შესაკეთებელია, ყინულსაფარველი მოუხსნელია, ირღვევა პროდუქციის დაწყობის ტექნოლოგია, არ იცავენ ხანძარსაწინააღმდეგო წესრიგს.

ამ ნაკლოვანებებიდან ჩანს, რომ გორის ხორცკომბინატის ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა პირუტყვის შეუფერებლად მიღება-გადამუშავებისათვის ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებიდან და მითითებებიდან, საწარმოში ვერ დაამყარა სათანადო წესრიგი, საჭირო დისციპლინა, არ შეადგინა პირუტყვის ჩაბარების სრულყოფილი გრაფიკები, ვერ უზრუნველყო საწარმოში პასუხისმგებელ მუშაკთა რეგულარული მორიგეობა.

ამის გამო საწარმოში მოხდა პირუტყვის მიღების წესების დარღვევები. მაგალითად, 1976 წლის 12 სექტემბერს დილით ლენინგორის პირუტყვის მიმღები პუნქტებიდან საწარმოში მოიყვანეს 145 სული მსხვილფეხა. რკინიანი პირუტყვი. მაგრამ პირუტყვის ეს პარტია საღამოს რვა საათამდე არ მიიღეს, სანამ საქმეში ქალაქის ხელმძღვანელობა არ ჩაერია.

ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ იმ დღეს ბაზაში პირუტყვი საერთოდ არ ჰყოლიათ. ამ ფაქტს თან დაერთო სხვა დანაშაულიც, სანახორო უწყისში პირუტყვის მოყვანის და მიღების დრო არ არის აღნიშნული. უფრო მეტიც, პირუტყვის მიღების აღმნიშვნელი საბუთები არც მეორე დღეს, 13 სექტემბერს იყო გაფორმებული.

ამ სერიოზული დარღვევებისათვის სამინისტროს კოლეგიამ გორის ხორცკომბინატის დირექტორი ო. შავშიშვილი მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან, სამუშაოდან დათხოვნილია აგრეთვე სასაკლაო საამქროს ოსტატი გ. დონღუზაშვილი, რომელმაც ვერ უზრუნველყო პირუტყვის მიღების წესების დაცვა.

შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ უპასუხისმგებლობას, უდისციპლინობას, ყველგან, ყველა უბანზე. არც ერთი ასეთი ფაქტი არ უნდა დარჩეს შეუნიშნავი, დამნაშავეთა მიმართ მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ. გორის ხორცკომბინატის დირექტორის ო. შავშიშვილის და საკაკლაო საამქროს ოსტატის გ. დონღუზაშვილის უპასუხისმგებლობის ფაქტი ყველასათვის ჭკუისასწავლი გაკვეთილი უნდა იყოს.

23 სექტემბერი

ფაქტები
პროგლემები
საკადესი და უცხოეთის პრესის საკვანძო

მსოფლიოს ამბავი

მარქსიზმი-ლენინიზმი
ბრძოლა-იდეოლოგია

გმობენ ხუნჯის ახალ დანაშაულს

მსოფლიო საზოგადოებრიობა მტკიცე პროტესტს აცხადებს იმ ახალი დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც ჩილეს სამხედრო-ფაშისტურმა რეჟიმმა და მისმა დამქაშებმა ჩაიდინეს. იგი გმობს იმ ფაქტს, რომ ვაშინგტონში მუშანაფოთრად მოკლეს პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს ერთგული თანამებრძოლი ორლანდო ლეტელიერი, რომელსაც სხვადასხვა დროს მის მთავრობაში ეროვნული თავდაცვის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

მექსიკო. (საკადესი). ჩილეს კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დიდ აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ვაშინგტონში ფაშისტური ხუნტის აგენტებმა მოკლეს სახალხო ერთიანობის მთავრობის თავლახჩინო მოღვაწე ორლანდო ლეტელიერი.

ეს დანაშაული, აღნიშნულია განცხადებაში, თითქმის მთლიანად ემთხვევა გენერალ პარატსის მკვლელობას, რომელიც პინოჩეტის საიდუმლო პოლიციის აგენტებმა ჩაიდინეს ორი წლის წინათ ბუენოს-აირესში.

პინოჩეტი და მისი საიდუმლო პოლიცია აგებენ პასუხს ამ და ათასობით სხვა დანაშაულებრივი აქტისათვის, რომლებსაც სრადოდნენ და კვლავ სჩადიან როგორც ჩილეში, ისე სხვაგარგარეთ.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ ჰენრი უინსტონმა და მისმა გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა გადაჭრით დაგმეს ო. ლეტელიერის მკვლელობა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის გაგზავნილ განცხადებაში ისინი აღნიშნავენ, რომ მსოფლიო შეაძრწუნა პინოჩეტის ფაშისტური რეჟიმის აგენტების ამ საზიზღარმა დანაშაულმა.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მკვლელები და ყველა, ვისაც რაიმე წილი უდევს ამ დანაშაულში, მართლმსაჯულების წინაშე წარადგენენ, აღნიშნავენ კომპარტიის ხელმძღვანელები.

პარიზი. ფრანგი კომუნისტების გაზეთმა „ლუმანიტემ“ დაგმო ო. ლეტელიერის მკვლელობა. გაზეთი წერს, რომ ეს მხოლოდ ერთი რგოლია ხუნტის დანაშაულებათა გრძელ ჯაჭვში. კერძოდ, 1974 წელს შისმა დაჭერა ვეტლებმა ბუენოს-აირესში მხეცურად მოკლეს სალვადორ ალიენდეს მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალი კარლოს პრატსი. ეს-ეს აირის ხუნტამ გამოსცა ბრძანებულება, რომ ჩილეს მოქალაქეობრიობა ჩამოერთვათ კომუნისტ სენატორს ვ. ტეიტელბოიმს, ავრეთვე რადიოალური პარტიის თავმჯდომარეს ანსელმო სულეს და ჟურნალისტ ერნან ფერიხეს.

მექსიკო. მექსიკაში მყოფმა ჩილელმა ემიგრანტებმა გულისწყრომით დაგმეს ო. ლეტელიერის მკვლელობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება ხუნტის მოთავეს პინოჩეტსა და მის დამქაშებს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის გაგზავნილ დეპეშაში მათ მოითხოვეს დასაჯონ ამ ბოროტმოქმედების მონაწილე დამნაშავეები.

აკრიტიკებენ მთავრობას

იაპონიის საზოგადოებრიობის მოთხოვნა

ტოკიო. იაპონიის საზოგადოებრიობა და პრესა გმობენ ხელისუფალთა არამეგობრულ მოქმედებას მაკოდატში საბჭოთა თევთმფრინავის იძულებით დაჯდომასთან დაკავშირებით, მოითხოვენ, რომ იაპონიამ და ამერიკის შეერთებული შტატების საშინაოდრო სპეციალისტებმა შეწყვიტონ მისი „გამოკვლევა“ და დაუყოვნებლივ დაუბრუნონ თევთმფრინავი საბჭოთა კავშირს. როგორც „ასაჰის“ ცნობები მოწმობენ, გაზეთის redაქცია იღებს ბევრ წერილს, რომელთა ავტორები მკაცრად აკრიტიკებენ მთავრობას პოზიციას და სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ. ისინი წერენ, რომ ამან შეიძლება გაამწვაოს საერთაშორისო ვითარება. „მაინიჩი“ გამოთქვამს შიშს, რომ ხელისუფალთა მოქმედება ირასასურიელ გავლენას მოახდენს იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე გრძელვადიანი პერსპექტივების თვალსაზრისით. „იომიური“ ფურთხილებს შესაძლო შედეგებს შესახებ, რომლებიც შეიძლება მოაყვეს ამგვარ პოზიციას.

სამართლიანი მოთხოვნა

პალესტინელი ხალხის უფლებების დასაცავად

ნიუ-იორკი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინელი ხალხის უცილობელი უფლებების განხორციელების კომიტეტმა მოხსენებაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის აქ გახსნილი 31-ე სესიის განსახილველად წარმოადგინა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ყოვლისმომცველი სამართლიანი მოწესრიგება, კერძოდ უზრუნველყოფილი იყოს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე.

საყოველთაო აღიარებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ პალესტინის საკითხი, რომლის ძირითადი ელემენტია პალესტინელი ხალხის გაუყოფელი უფლებების აღდგენა და განხორციელება, — ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების ცენტრალური საკითხია, ხაზგასმულია მოხსენებაში.

პალესტინელმა ხალხმა, აღნიშნულია შემდეგ მოხსენებაში, უნდა განახორციელოს ეროვნული თვითგამორკვევის, კერძოდ პალესტინაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის თავისი კანონიერი უფლება 1967 წლის ივნისში ისრაელის მიერ ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ჯარების სრული გაყვანის საფუძველზე. კომიტეტმა აგრეთვე ურჩია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ოკუპირებული არაბული მიწებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის კონკრეტულ ვადად დაფიქსოს 1977 წლის 1 ივნისი.

ეს ულ უფრო ფართოვდება ესპანელ მშრომელთა ბრძოლა თავისი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, 12 სექტემბერს მადრიდის ახლოს მცხოვრები გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, რათა პროტესტი გამოეთქვა ცხოვრების სისტემატური გაძვირების გამო.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

ოუპი-საკადესის ფოტო.

ესპანელ მშრომელთა კრიტესტი

ესპანელ

კომუნისტების საარჩევნო კამპანია

ნიუ-იორკი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია კვლავ აქტიურად და მტკიცედ ეწევა საარჩევნო კამპანიას და ახალ წარმატებებს აღწევს.

როგორც კომუნისტების საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა იტყობინება, ახლა კომპარტიამ გადააჭარბა წინა, 1972 წლის კამპანიის მიჯნას, თუ მაშინ კომპარტიის საარჩევნო პროგრამას მხარი დაუჭირეს ქვეყნის 13 შტატში, 1976 წლის სექტემბერში კომუნისტური პარტიის კანდიდატთა სახელები შეტანილია 14 შტატისა და კოლუმბიის ფედერალური ოლქის საარჩევნო ბიულეტენებში. კომუნისტების იდეებს იზიარებს მილიონობით ამერიკელი. შედარებით უფრო დიდი წარმატება ხვდა კომპარტიას კალიფორნიის, ალაბამის, როდ-აილენდის შტატებში. ლუიზიანის შტატში პირველად პარტიის ისტორიაში კომუნისტი კანდიდატები შეიყვანეს სიებში, რათა კენჭი უყარონ შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნოემბრის მომავალ არჩევნებში.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტური პარტიის პოპულარობა.

პარტიის წარმატებები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ოპტატურ პროპაგანდისტულ მუშაობასთან, რომელსაც მუდამ ეწევიან კომუნისტები ამერიკელი ხალხის ფართო ფენებში. მათი კამპანის არსებულია მთელი საარჩევნო პროგრამის არსის ყოველმხრივი ახსნა, ამომრჩეველებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტებზე კანდიდატების გ. ჰოლისა და ჯ. ტაინერის გამოსვლები რადიოთი და ტელევიზიით, მიტინგები, შეხვედრები და საუბრები, რომლებსაც აწყობენ კომუნისტი კანდიდატები და პარტიის აქტივისტები მუშებსა და სტუდენტებს შორის, პროგრესულ ორგანიზაციებში.

მიუხედავად ამერიკის რეაქციის დისკრიმინაციული ღონისძიებებისა, რომლებითაც ცდილნენ არ მიაღებინონ მონაწილეობა კომპარტიას პრეზიდენტის არჩევნებში, მათი წარმატებანი თვალსაჩინოა. კომუნისტების აქტიური საარჩევნო კამპანია გრძელდება.

ბრაზილია

დადგენილება აგრარული რეფორმის შესახებ

ლისაბონი, (საკადესი). პორტუგალიის მინისტრთა საბჭომ მიიღო ვრცელი დადგენილება აგრარული რეფორმის შესახებ. მასში ხაზგასმულია, რომ მთავრობა აპირებს განაგრძოს აგრარული რეფორმის განხორციელება, რომლის შესახებ დებულება დამტკიცებულია კონსტიტუციით და გათვალისწინებულია მთავრობის პროგრამით. დადგენილებით დამტკიცებულია აგრეთვე, რომ აგრარული რეფორმის მოქმედების ზონა არ შეიცვლება. იგი მოიცავს ქვეყნის სამხრეთ პროვინციებს, როგორც ეს განსაზღვრა კანონით აგრარული რეფორმის შესახებ. მაგრამ მთავრობის დადგენილების ცალკეულ დებულებებს საწინააღმდეგო ხასიათი აქვს. მაგალითად, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება წინანდელ მფლობელებს დაუბრუნონ გლეხთა მიერ დაკავებული მიწა ის ნაკვეთები, „რომლებიც ეწესრეთრიებული არა ყოფილა აგრარული რეფორმის კანონის „შესაბამისად. ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში იქნება „სამუშაოთა ჯგუფები“ ხელისუფალთა წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ, თუ რა ნაკვეთები უნდა დაბრუნონ გლეხებმა.

ამავე დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ რესპუბლიკის კრების განსახილველად ერთი თვის ვადაში წარმოდგენილი უნდა იყოს კანონპროექტი, რომელიც „განსაზღვრავს“ იმ მიწათმფლობელებისათვის კომპენსაციის გადახდის კრიტერიუმებს, ოდენობასა და წესს, რომელთა მიწები ეწესპრეთრიებული იყო აგრარული რეფორმის კანონის შესაბამისად“.

საკითხი აგრარული რეფორმის შესახებ ამ დღეებში პორტუგალიის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

მემარჯვენე წრეებმა, რომლებიც იცავენ ალენტეჟუსა და რიბატეჟუს პროვინციების ყოფილ მემამულეთა ინტერესებს და მოითხოვენ წინანდელი მფლობელებისათვის მიწების გადაცემას, რადგან თითქოს ისინი უკანონოდ მეთვისებინოთ ხასოფლო-სამეურნეო მუშებს, გააჩაღეს ცილისწამებლური კამპანია მთლიანად აგრარული რეფორმის წინააღმდეგ.

ბელგია

ტეტლეტაპიპის ლენტიდან

ბოკალი

იტალიის კომპარტიის განცხადება

✦ **რომი.** მწვავე ეკონომიური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საკითხება, ეკონომიური პოლიტიკის აუცილებელი და ძირფესვიანი შეცვლა მოითხოვს მშრომელთა, ხალხის მასების პოლიტიკური ინიციატივის აქტიურ განვითარებას, ნათქვამია იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს განცხადებაში. ეს განცხადება გამოქვეყნდა იმასთან დაკავშირებით, რომ იტალიის მთავრობამ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება გადადოს მთელი რიგი იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების განხილვა, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის მძიმე ეკონომიური კრიზისის დაძლევას.

მალის ახალი პარტია

✦ **ბამაკო.** მალის რესპუბლიკაში შეიქმნა ერთიანი მასობრივი პოლიტიკური პარტია — მალელი ხალხის დემოკრატიული კავშირი.

ეს გამოაცხადა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა მუსა ტრაორემ, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის 16 წლისთავთან დაკავშირებით რადიოთი მიესალმა ხალხს. მალელი ხალხის დემოკრატიული კავშირი, თქვა მ. ტრაორემ, მოწოდებულია დარაზმოს რესპუბლიკის მთელი აქტიური ძალები ერის ერთიანობის განმტკიცებისა და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის მშენებლობისათვის.

დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი

✦ **დელი.** ინდოეთის ქალაქ ინდორაში მუშაობა დაამთავრა განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების მთავრობისეული პროგრამის განხორციელების საერთო ეროვნულმა კონფერენციამ, რომელიც მოიწვია სრულიად ინდოეთის მშვიდობისა და სოლიდარობის ორგანიზაციამ, კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი დოკუმენტები მრავალ საშინაო და საერთაშორისო პრობლემებზე.

ინდოეთი

,,ბეოლოგიური ბომბი“?

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იაპონელ დიასახლისებს ყველაზე მეტად ელვის, მიწისძვრისა და ხანძრის ეშინოდათ. ცხოვრებამ ამ ნუსხაში თავისი კორექტივები შეიტანა. ხანძრებსა და ბეკა-ქუხილებზე არანაკლებ შიშს იწვევს ფასების ზრდა და უხარისხო პროდუქტებით მოწამვლის შესაძლებლობა. ეს ასეა, მაგრამ მიწისძვრები ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთათვის მაინც ერთ-ერთ ყველაზე დიდ უბედურებად რჩება.

იაპონია დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სეისმური ზონის ცენტრში მდებარეობს. იაპონელი ხალხი დღემდე ბევრჯერ გამხდარა მიწისძვრების ქარიშხლების მსხვერპლი. 1855, 1891, 1896, 1923 და 1946 წლების კატასტროფებმა ასობით და ათასობით ადამიანი იმსხვერპლა.

წლეულს, სეისმოლოგთა მონაცემებით, 6,5 ბალზე მეტი ძალის 37 მნიშვნელოვანი მიწისძვრა აღინიშნა.

იაპონელები განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებს პლანეტის სეისმური აქტიურობის გაძლიერების შესახებ. დიდ შეშფოთებას, იწვევს, მაგალითად, ცნობები იმის თაობაზე, რომ ტოკიოს სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე ათეული კილომეტრზე მდებარე იძუს ნახევარკუნძულის ზოგიერთ რაიონში მიწა 10-15 სანტიმეტრით აიწია. როგორც სეისმოლოგები ამტკიცებენ, ეს ძლიერი მიწისძვრის მოახლოების მომასწავებელია.

როგორი შეიძლება იყოს მისი შედეგები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს ათობით ბესტსელერი, რომლებიც პოპულარული გახდა პლუტონის ხაშში ძალების დაწყებულ უფრო ფართოვდება ესპანელ მშრომელთა ბრძოლა თავისი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, 12 სექტემბერს მადრიდის ახლოს ცხოვრები გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, რათა პროტესტი გამოეთქვა ცხოვრების სისტემატური გაძვირების გამო.

ბოლო ოცეული ნლის განმავლობაში ეს ,,ბომბი“ ბევრჯერ ფეთქდებოდა. ბოლო ასეთი ფეთქება 1976 წლის 28 ივლისს, ტოკიოს ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, ფუკუიის პრეფექტურაში, ანუ ოლქში, ფეთქებამ ასობით ადამიანი ამოიხოცა. ეს ,,ბომბი“ ბევრ ადამიანს ასახიჩრებს, ბევრ ოჯახს ანგრევს, ბევრ ბავშვს ობლად ტოვებს. ეს ,,ბომბი“ ბევრ ადამიანს ავადმყოფობს, ბევრ ადამიანს ავადმყოფობა ბოლამდე მიიყვანს.

წერილი ტოკიოდან

ხასჯერ. ამდენად, თუ დიდი ტოკიოს რაიონში ისეთი ძალის მიწისძვრა ბიძგები აღინიშნა, როგორიც ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, მაშინ ორ კილომეტრ რადიუსში დაინგრევა თითქმის ყველა სახლი, ხიდი და სხვა ნაგებობა, ხოლო ხუთ კილომეტრ რადიუსში შეიძლება შენობათა მხოლოდ ნახევარი გადარჩეს. ტოკიოს ბევრი საცხოვრებელი რაიონი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს და, თუ ცუნამის ტალღამ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კატასტროფის დროს მოძველებული ჯიბრები და მიწაყრილები წაალეკა შესაძლოა, ქალაქის ნაწილი დაიტბოროს.

გამოქვეყნებული პროგნოზების თანახმად, შეიძლება განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდეს ტოკიოდან იოკოჰამამდე ტოკიოს ყურის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ინდუსტრიული და საცხოვრებელი კომპლექსი. ამ უბანზე ქარხნები, ფაბრიკები, ბენზინსაცავები და საცხოვრებელი სახლები ისე მჭიდროდ კვერიან ერთმანეთს, რომ ორ-სამ ადგილას გაჩენილ ხანძარს ქარი ადვილად გაავრცელებს სხვა ნაგებობებზე. მეცნიერთა ვარაუდით, ასეთმა სტიქიურმა უბედურებამ შეიძლება იაპონიის დედაქალაქის თორმეტმილიონიანი მოსახლეობის ერთ მეოთხედზე მეტი იმსხვერპლოს.

**რა ღონისძიებებს მიმართავენ იაპონიის მ

საქართველოს მთა-ბარში

სახელგანთქმული ანსამბლი—აფხაზეთში

ბარგა ხნის შემდეგ აფხაზეთს საგასტროლოდ ეწვია საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ სპეციალური ... ...